სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14656376510916

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160113503

რეგისტრაციის თარიღი

10.02.2016 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის
შესახებ.

გამყიდველი: საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე–სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო") წარმომადგენელი **სალომე მესხია**

მყიდველი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "საქართველოს რაგბის კავშირი"-ს (ს/კ 204874911) წარმომადგენელი **ედუარდ ნაჭყებია**

ნოტარიუსი ციური ბერიძე
ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68
ტელეფონი 2 23 08 90
ორიათას თექვსმეტი წლის ათი თებერვალი

თბილისი
2016

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირს“ შორის 2006 წლის 15 თებერვალს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი, 10 თებერვალი 2016 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში, ,,გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” თავმჯდომარის მიერ 2016 წლის 5 იანვარს გაცემული №4/495 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“** (ს/კ №204874911) (შემდგომში „მყიდველი“) წარმოდგენილი ედუარდ ნაჭყებიას (პირადი №01010015003) სახით, მისი დირექტორის, გოჩა სვანიძის მიერ 2016 წლის 9 თებერვალს გაცემული (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160108040) მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში შემდგომში ერთად წოდებული, როგორც ”მხარეები”, ცალკე კი „მხარე“,

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირს“ შორის 2006 წლის 15 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებითა და ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ 2015 წლის 17.11.2015 წლის №929/02 (24.11.2015წ; №96978/ფ) წერილით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირს“ შორის 2006 წლის 15 თებერვალს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (შემდეგში: „ნასყიდობის ხელშეკრულება”) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.1 „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1 მუხლის „ე" ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) „მყიდველი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და „გამყიდველის" მოთხოვნისთანავე, მაგრამ ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით."

1.2 „ნასყიდობის ხელშეკრულების" 3.1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.1^1 მუხლი:

„3.1^1 „ხელშეკრულების" 2.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება დასტურდება „მყიდველის" მიერ „გამყიდველისათვის" ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ წარდგენილი აუდიტორული / საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ და/ან შესაბამისი დოკუმენტით რომელიც ასახავს სათანადო ვალდებულების შესრულებას."

1.3 „ნასყიდობის ხელშეკრულების" მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4

4.1. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი.

4.2. „ხელშეკრულების" 2.1 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით დარღვევის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე“.

4.4. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4.5 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“.

4.6 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 3.1[1] მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის ყოველ დღეზე.“

მუხლი 2

2.1 „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებ(ები)ა არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებ(ები)ა და დამატებ(ები)ა მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტების დროს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერისა და სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

3.2. სანოტარო წესით დამოწმებისათვის საჭირო ხარჯები იფარება „მყიდველის“ მიერ.

3.3. „მყიდველი“ ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დარეგისტრირება.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

"გამყიდველი"

სსიპ - სახელმწიფო

ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი:

სალომე მესხია

სალომე მესხია

"მყიდველი"

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“

წარმომადგენელი:

ედუარდ ნაჭყებია

ედუარდ ნაჭყებია

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თექვსმეტი წლის ათ თებერვალს, მე-ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი№ 68-ში, მომმართეს:

ქალბატონმა **სალომე მესხმა** (დაბ. 02.01.1992 წ, პირადი № 01005030011), როგორც საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს უფლებამონაცვლის სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს – წარმადგენელმა (თანახმად 05.01.2016 წ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ე.სისაურის მიერ გაცემული მინდობილობისა № 4/495).

ბატონმა **ედუარდ ნაჭყებიამ** (დაბ. 03.12.1985 წელს, პირადი № 01010015003), როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "საქართველოს რაგბის კავშირი"-ს (ს/კ 204874911) დირექტორის ბატონი გოჩა სვანიძის (პ/ნ 01006005613) მინდობილმა პირმა (მისი უფლებამოსილება დადგენილია მინდობილობით დამოწმებული 09.02.2016 წელს ნოტ. ო. ზოიძის მიერ რეესტრი № 160108040)

მათი სურვილია ჩემს – ნოტ. ც. ბერიძის მიერ 15.02.2006 წელს რეესტრი № 1-1476-ით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების დამოწმება სანოტარო წესით.

მათი პირადობა შევამოწმე წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთებით. მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. სალომე მესხისა და ედუარდ ნაჭყებიას უფლებამოსილება დადგენილია შესაბამისი რწმუნებით.

მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შეთანხმება ნასყიდობისა და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ხმამაღლა და გარკვევით წავუკითხე მხარეებს. აგრეთვე განვუმარტე მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ განაცხადეს რომ შეთანხმება ნათლად გამოხატავს მათ ნებას, შემდეგ პირადად და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი წინამდებარე შეთანხმებას.

წინამდებარე შეთანხმება შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი, დანართებითურთ ინახება სანოტარო ბიუროს საარქივო დოკუმენტაციაში, დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 8.4 მუხლის თანახმად – 25 ლარი, 39 მუხლის თანახმად 2 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დღგ- 4.50 ლარი. სულ-31.50 ლარი.

ნოტარიუსი- ციური ბერიძე

შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი

სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში: 1-1476

ორიათას ექვსი წლის თხუთმეტ თებერვალს მე, ციური ბერიძეს, ქ. თბილისის ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№68, პირველ სართულზე, მომმართეს: თეა ბასიაშვილმა და ლევან მგელაძემ. თეა ბასიაშვილმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს, მოქმედებს სამინისტროს სახელით და შესაბამისი მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებაზე, კერძოდ ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №40-ში მდებარე სტადიონ „შევარდენის" მიწის ნაკვეთზე 28204 კვ.მ. და მასზე განთავსებულ შენობა–ნაგებობებზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. ლ. მგელაძემ განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს რაგბის კავშირს (თანახმად რაგბის კავშირის პრეზიდენტის მიერ 15.02.06წ. გაცემული მინდობილობისა) და სურს კავშირის სახელით ზემოხსენებული ქონების შეძენა და ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პიროვნება და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად ლ. მგელაძემ (დაბადებული 30.06.1959წ. მახარაძეში. მცხოვრები თბილისი, კახეთის გზატკეცილი კორპ.3.17.ბინა 11. პირადობის მოწმობა №ა 0399698, პირადი №01012000839 გაცემული ისანი-სამგორის რ-ნის შს სამმართველოს 2 განყ-ის მიერ 02.05.03წ) და თეა ბასიაშვილმა (დაბადებულმა 28.09.1978წ. ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, გლდანის მასივი VIII მიკ. VI კორპ. პირადი № 01002002000, პირადობის მოწმობა №გ0745738, გაცემული 22.08.2005წ. გლდანის სმრ სამსახურის მიერ), მომმართეს. მე შევამოწმე თეა ბასიაშვილის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თანახმად მინისტრის მიერ 20.12.05წ. გამოცემული №1-1/1228 ბრძანებისა. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციით, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის შესაბამისად გაცემული საკურების დამადასტურებელი მოწმობა. ნასყიდობის ფასის შემცირება გადასახადის ოდენობის შემცირების მიზნით ისჯება ჯარიმით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. თუ ამ ხელშეკრულებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ დავის შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ამცირებენ ნასყიდობის ფასს, დავისას მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს ფასის შემცირების ფაქტი. ამ განმარტების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში; შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს

წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას.
გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად: 200+3%ღგ 236 ლ

თანდართული დოკუმენტაცია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.05წ. №1-1/1228 ბრძანებია; 16.01..2006წ. გაცემული ამონაწერი სჯარო რეესტრიდან; მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო № 1/17/11/32/2. სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 14.02.06. გაცემული ცნობა №ყად-4904/06 ყადაღის არარსებობის შესახებ. საქართველოს რაგბის კავშირის წესდება. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის 2006 წლის 15.02. მინდობილობა ლ. მგელაძისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. თბილისი. **15 თებერვალი 2006წ**

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, იურიდიული დეპარტამენტის პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის თეა ბასიაშვილის სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.05წ. №1-1/1228 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, (შემდგომში "გამყიდველი") და მეორეს მხრივ საქართველოს რაგბის კავშირი (შემდგომში "მყიდველი"), წარმოდგენილი ლევან მგელაძის სახით (მოქმედი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მიერ 15.02.2006წ. გაცემული მინდობილობის საფუძველზე) ვხელმძღვანელობთ რა, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით; სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულებით; საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის №876 განკარგულებით „საქართველოს რაგბის კავშირისათვის სტადიონ „შევარდენის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ", საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.05წ. №1-1/1228 ბრძანების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. *ხელშეკრულების საგანი*

1.1. "გამყიდველი" მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო "მყიდველი" იღებს პირობადებულ საკუთრებაში ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის

ქ. №40-ში მდებარე სტადიონ „შევარდენს" (მიწის ნაკვეთს 28204 კვ.მ. და მასზე განთავსებულ შენობა–ნაგებობებს) – შემდგომში „ქონება".

1.2. „ქონების" ღირებულება შეადგენს 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

1.3. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

2.1 "მყიდველი" ვალდებულია:

ა) ქონების ღირებულება გადაიხადოს 2005 წლის 25 დეკემბრამდე, ხოლო დარჩენილი 50% - 2006 წლის 1 მარტამდე.

ბ) შეინარჩუნოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროფილი მუდმივად.

ე) დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველი წლის ბოლოს ინფორმაცია წარუდგინოს "გამყიდველს".

2.2. "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხების სრულად დაფარვის შემდეგ დაუდასტუროს საკუთრების უფლება, მის მიერ გამოსყიდულ ქონებაზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

3.1 სახელმწიფო ქონებაზე "მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა სახელმწიფო ქონების გასაყიდი ფასის სრულად დაფარვის შემდგომ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.

3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მყიდველს" „გამყიდველთან" შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაყიდოს, გაცვალოს, გააქირაოს იჯარით გასცეს, გირაოში ჩადოს გადაცემული ქონება.

3.3. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3.4. საკუთრების დადასტურების შემდგომ მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გაყიდვის შემთხვევაში იგი ვალდებულია „გამყიდველთან" შეთანხმებით ქონება გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალსწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით. სამინისტრო არ არის უფლებამოსილი განაცხადოს უარი პრივატიზებული ქონების გასხვისებაზე, თუ გასხვისება ხდება იმავე პირობით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

მუხლი 4. სანქციები

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორებისათვის აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0,1%-ით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად სამინისტროს მიერ. "მყიდველს" არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

მუხლი 5. სხვა დებულებანი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხები და დანახარჯები.

5.1 დასაშვებია მხარეთა დამატებითი შეთანხმებები, ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით.

5.2 ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

5.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან. სანოტარო წესით დამოწმებისათვის საჭირო ხარჯები იფარება „მყიდველების" მიერ.

5.5. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

5.6. ხელშეკრულება შედგენილია 5 ეგზემპლარად და თითეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"გამყიდველი"	"მყიდველი"
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	საქართველოს რაგბის კავშირი
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ.№12	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№49ა
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ისანი-სამგორი) 200122900 ეროვნული ბანკი 220101107 სახაზინი კოდი 300053282	
თეა ბასიაშვილი	ლევან მგელაძე

ქ. თბილისის ნოტარიუსი: ც. ბერიძე

მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

"15" აგვისტო 2006 წელი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.05წ. №1-1/1228 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე, მე, პრივატიზების დეპარტამენტის უფროსმა სპეციალისტმა ვაჟა ჯინჭარაძემ გადავეცი, ხოლო საქართველოს რაგბის კავშირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ლევან მგელაძემ ჩავიბარე ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №40-ში მდებარე სტადიონი "შევარდენის" ქონება, 28204კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რაზედაც ხელს ვაწერთ:

გ ა დ ა ვ ე ც ი :

ვ. ჯინჭარაძე

ჩ ა ვ ი ბ ა რ ე :

ლ. მგელაძე